საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„თაზქირათ ალმულუქი”

„თაზქირათ ალ-მულუქი” (სპარს. „ხელმწიფეთა სამახსოვრო”), კანონთა კრებული, შედგენილია დაახლ. 1725 (ირანში ავღანელთა ბატონობის დროს) ანონიმი ავტორის, სეფიანთა ერთ-ერთი მოხელის მიერ ავღანეთის ხელისუფალთა დავალებით. ავღანელებს არ ჰქონდათ სახელმწ. მართვა-გამგებლობის გამოცდილება, ამიტომ ისინი იძულებულნი იყვნენ, დაყრდნობოდნენ სეფიანთა სახელმწიფოში მოქმედ კანონებს. „თ. ალ-მში” მოცემულია სეფიანთა სახელმწ. კარის მოხელეთა, პროვ. გამგებელთა და დედაქალაქ ისპაანის მოხელეხელისუფალთა უფლებამოვალეობანი. მასში არის ცნობები „გურჯისტანის” ვალის, ქართლის, კახეთის და თბილ. მმართველის, ისპაანის ტარუღას (1618–1872 ქართველები იყვნენ), სასახლის ქართვ. ღოლამების ნაწილის დასაჭურისებისა და მათგან ყველაზე ღირსეული ხოჯების ასისთავად დანიშვნის შესახებ. „თ. ალმის” მიხედვით კახეთი, როგორც ხარკის გადამხდელი, მიწერილია ყარაბაღის საბეგლარბეგოზე.

ლიტ.: გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., სპარსული დასტურლამალი, {თსუ შრომები}, 1949, 30B; მ ი ს ი ვ ე , ქართული ფეოდალური წყობილება XVI–XVII საუკუნეებში, თბ., 1958; კ უ ც ი ა კ., „თაზქირათ ალმულუქის” ცნობები საქართველოს შესახებ, {ქართული წყაროთმცოდნეობა}, [ტ.] 3, თბ., 1973; ს უ რ გ უ ლ ა ძ ე ნ., სეფიანთა ირანის ცენტრალური მმართველობა, თბ., 1990; T a d h k i r a t - a l - m u luk. A manul of Safarid administration, persan text in facsimile with translation and comnentary by V.Minorsky, L. 1943.

დ. კაციტაძე